ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1471707

ნომერი: AR1248823

თარიღი : 05.09.2014

გაცემის თარიღი : 10.09.2014

გაცნობის თარიღი : 10.09.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭიჭინაძე , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ხუტა მუკბანიანი პ/ნ 27001000423
- თბილისი II ნავთლუღის დას. VII ქ. N 74

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმეტაია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით, არსებული შენობის წინ ასფალტის დაგება და ქვაფენილის მოწყობა, თუმცა შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

ვინაიდან საპროექტო დავალებით გათვალისწინებული სამუშაოები (ასფალტის დაგება და ქვაფენილის მოწყობა) ხორციელდება ქ. თბილისის თვითმართველი ერთეულის მიწის ნაკვეთზე, წარმოდგენილ უნდა იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონეის მართვის სააგენტოს თანხმობა აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით (თანხმობა ატვირთულ იქნას „დამატებითი დოკუმენტაციის“ ველში).

გარდა ამისა გაითვალისწინეთ, რომ ვინაიდან საპროექტო შენობის (რომლის მიმდებარედაც ხორციელდება ზემოაღნიშნული სამუშაოები) მესაკუთრეს წარმოადგენს მოქ. ვასილიოს ლაგიოსი, „არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულების“ ველში ატვირთულ უნდა იქნას მისი მინდობილობა, რომელიც გაცემული იქნება თქვენს სახელზე ან თანაგანმცხადებლად დარეგისტრირდეს აღნიშნული პიროვნება.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.